F 135
1929/Լ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

34(05)
Լ-29.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 ნოემბრის 22 № 5 ნაწილი მეორე

შ ი ნ ა ა რ ს ი:

18. წესდება სახელმწიფო სამრეწველო „ლითონის მრეწველობის ტრესტისა".

დამტკიცებულია ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის
მიერ ოქმი № 32 §-4 1929 წ.
ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მდივანი
ლობჟანიძე.
1929 წ. აგვისტოს 21.

წ ე ს დ ე ბ ა

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო სამრეწველო „ლითონის მრეწველობის ტრესტისა".

I. ზოგადი დებულება.

1. ლითონის მრეწველობის პროდუქციის გადასამუშავებლად და გასასაღებლად, სახელმწიფო-სამრეწველო ტრესტების 1927 წ. 29 ივნისის დებულების თანახმად, არსდება რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტი, სახელწოდებით „ლითონის მრეწველობის ტრესტი", შემოკლებით „ლითონტრესტი", რომელიც იმყოფება საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში.

2. „ლითონტრესტის" შემადგენლობაში შედიან შემდეგი საწარმოო წამოწყება და დაწესებულებანი:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მექანიკური და სააღმშენებლო ქარხანა (ყოფ. არსენალი);

ბ) 26 კომუნარების სახელობის მანქანათა სააღმშენებლო, თუჯის სასხმო და მექანიკური ქარხანა (საბჭოთა ქ. № 115);

გ) ამხ. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა (ყვირილის ქ. № 9);

დ) ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის სპილენძის სატკეცი ქარხანა (კლ. ცეტკინის ქ. № 184);

ე) მ. ტორომელიძის სახელობის ჩათახის თუჯის სადნობ და მილების სასხმო ქარხანა (ყოფ. ჩათახი, ბორჩ. მაზრა). არ მოქმედობს.

ამას გარდა „ლითონტრესტისათვის“ მიკუთვნებულია, ამასთან დართულ ცალკე აღწერილობაში მოხსენებული, მიწის ნაკვრები.

3. „ლითონტრესტი“ დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულია და მოქმედობს კომერციული ანგარიშის საფუძველზე, ს. მ. უ. ს-ის მიერ დამტკიცებული საგეგმო დავალებებთან შეფარდებით. რეგისტრაციის დღიდან მიეკუთვნება იურიდიულ პირის ყველა უფლება.

4. ყველა თავის ვალდებულების გამო „ლითონტრესტი“ პასუხისმგებელია მხოლოდ იმ, მისთვის მიკუთვნილი, ქონებით, რომელზედაც მომქმედი კანონების მიხედვით შესაძლებელი იქნება გადახდევინების მიქცევა.

საერთო სახელმწიფო ხაზინა პასუხს არ აგებს „ლითონტრესტის“ ვალების გამო. ამასთან ტრესტის ქონებაზე არ შეიძლება მიქცეულ იქნეს რაიმე სახელმწიფო ვალისა და ვალდებულებათა ნიადაგზე წარმოშობილი გადახდევინება.

5. „ლითონტრესტს“ შეუძლია ს. ს. რ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე აწარმოოს ყველა ის ოპერაცია, მათ შორის სავაჭროც, რაც კი ხელს შეეწყობს და საჭირო იქნება ამ წესდების § 1-ში მოხსენებული მიზნების განსახორციელებლად.

შენიშვნა. საგარეო ვაჭრობაში „ლითონტრესტი“ იმ წესების თანახმად ღებულობს მონაწილეობას, რომელიც სათანადო კანონებითა დადგენილი.

6. „ლითონტრესტი“ ფლობს, სარგებლობს და განაგებს მის განკარგულებაში მყოფ ქონებას და იბეგრება საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ხასიათის გადასახადებით და გამოსაღებით საერთო კანონების მიხედვით. მხოლოდ იმ გამონაკლისით, რაც აღნიშნულია 1927 წ. 29 ივნისის სახელმწიფო მრეწველობის ტრესტების დებულებაში და სპეციალურ კანონებში.

7. „ლითონტრესტი“-ს მიკუთვნებული ქონებიდან, რომელიმეს უსასყიდლოთ გამოყოფა დაიწყება, მხოლოდ სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების, 1927 წ. 29 ივნისის დებულების მე-7 მუხლში გათვალისწინებული წესების დაცვით.

8. ლითონტრესტი* იძენს და ასხვისებს იმ საქონელს, რომლის ღირებულებაც არაა დანიხრული, იმ ფასებში, რომელიც მიხწეულ იქნება მყიდველთან, ან გამყიდველთან ურთიერთშორის შეთანხმების ნიადაგზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. „ლითონტრესტის“ მიერ გასაცემ საქონელზე სავალდებულო ფასებს, მომქმედი კანონების დაცვით, აწესებს საქართველოს ს. მ. უ. ს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფასების საკითხის მოგვარების აუცილებლობას მოითხოვენ საკავშირო ინტერესები, „ლითონტრესტის“ სავალდებულო ფასებს აწესებს ს. ს. კავშირის ს. მ. უ. ს.

9. გარიგებათა დადებისას „ლითონტრესტი“ ვალდებულია, ყველა თანაბარ პირობებში, უპირატესობა მიაკუთვნოს სახელმწიფო დაწესებულებათ და წარმოებათ და კოოპერატიულ ორგანიზაციათ, როცა ისინი კონტრაგენტებათ გამოდიან.

10. „ლითონტრესტის“ პროდუქციის წინასწარი დაკვეთა სახელმწიფო ორგანოების სასარგებლოდ დასაშვებია, სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წ. 29 ივნისის დებულების 39 მუხლის წესისამებრ.

11. ყველა იმ შემთხვევაში, რაც ამ წესდებით არაა გათვალისწინებული, „ლითონტრესტი“ მოქმედობს სახელმწ. სამრეწვ. ტრესტების შესახებ 1927 წ. 29 ივნისს დამტკიცებული დებულების და აგრეთვე მომქმედი კანონების მიხედვით.

12. „ლითონტრესტს“ მინიჭებული აქვს ბეჭედი, თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

II. საწესდებო კაპიტალი.

13. „ლითონტრესტი“-ს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება, ამ წესდებაზე დართულ „ლითონტრესტის“ ბალანსის მიხედვით 1928 წ. 1 ოქტომბრის 2.366.721 მან. 72 კაპ. რაოდენობით.

შენიშვნა. საწესდებო კაპიტალში არ შედის ამ წესდების § 2 თანახმად „ლითონტრესტს“ მიკუთვნებული მიწის ნაკვეთები.

III. „ლითონტრესტის“ სამმართველო, მისი უფლება და მოვალეობანი.

14. „ლითონტრესტი“-ს მმართველობა-გამგეობისათვის საქართველოს ს. მ. უ. ს. ნიშნავს მმართველს და მის მოადგილეს ერთი წლის ვადით.

შენიშვნა. საქართველოს ს. მ. უ. ს. შეუძლია ზემოაღნიშნული ვადის გასვლამდე, დაითხოვოს როგორც მმართველი, ისე მისი მოადგილე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა ნათი შეუფერებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი.

15. „ლითონტრესტი“-ს სამმართველოს ადგილსამყოფელი არის ქ. თბილისი.

16. ამ წესდების საფუძველზე და მომქმედ კანონების ფარგლებში, საქართველოს ს. მ. უ. ს.-ს საერთო ზედამხედველობის ქვეშ, მმართველი დამოუკიდებლად აწარმოებს „ლითონტრესტის“ ყველა ოპერატიული და ადმინისტრატიული ხასიათის სამუშაოს, განაგებს რა მის საქმეებს და მისავე განკარგულებაში მყოფ ქონებას, სდებს რა გარიგებათ და აწარმოებს „ლითონტრესტის“ გამგებლობაში შემავალ ყოველგვარ ოპერაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. კერძოდ მმართველის გამგებლობის საგნს შეადგენს:

ა) „ლითონტრესტის“ შედგენილობაში შემავალი ყველა წამოწყებების ხელმძღვანელობა და წარმოებათა ორგანიზაცია.

ბ) „ლითონტრესტის“ შედგენილობაში შემავალი საწარმოო წამოწყებათათვის, საქართველოს ს.მ.უ.ს. მიერ დამტკიცებული ტიპიური დებულებასთან შეფარდებული, მართვა-გამგეობის დებულების დამტკიცება.

გ) შედგენა და საქ. ს.მ.უ.ს-ში წარდგენა შემდგომი კონტროლისათვის საწარმოო-საფინანსო გეგმებისა; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი შედგენა და საქ. ს.მ.უ. ს-ში წარგენა ახალი სამრეწველო მშენებლობის შესახებ სამრეწველო მუშაობის გეგმებისა და ტეხნიკურ პროექტებისა და აგრეთვე მოწყობის დამთავრების ან გადაკეთების შესახებ.

დ) შედგენა და საქ. ს.მ.უ.ს-თვის წარდგენა დასამტკიცებლად პერიოდული ანგარიშების და ბალანსების, აგრეთვე მოგების განაწილების და ზარალის დაფარვისათვის სათანადო პროექტისა.

ე) სალაროს მოწყობა, საქმის წარმოება და დადგენილი სისტემის მიხედვით ანგარიშწარმოება;

ვ) მუშა-მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა; კოლექტიური ხელშეკრულების და ცალკე შრომითი შეთანხმების დადება და საქ. ს.მ.უ.ს-ს წარდგენა ტრესტის მთავარი ბუჰალტერის დანიშვნის, ან დათხოვნის შესახებ.

ზ) დაქირავება, იჯარით გაცემა და ნაგებობათა შეძენა, აგრეთვე შეძენა აღნაგობის უფლებისა;

შენიშვნა. მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდის ხარჯზე გაკეთებული სახლების იჯარით გაცემა ხდება საქ. ს.მ.უ.ს. ნებართვით.

თ) ს.ს.რ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე „ლითონტრესტის“ ფილიალების (განყოფილების, კონტორის, წარმომადგენლობის, საგენტოს და სხვა გახსნა).

ი) დაძველებული ან სახმარად უვარგისო შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილებათა გასხვისება და დაგირავება; გასხვისება და დაგირავება ყველა სხვა შემთხვევაში შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილებათა საქ. ს. მ. უ. ს. ნებართვით და აგრეთვე საქ. ს.მ.უ.ს. ნებართვით გასხვისება და დაგირავება აღნაგობის უფლებისა.

კ) იჯარით აღება და გაცემა ვადათ—ექვს წლამდე, მოწყობილობისა და დამხმარე წამოწყებათა; იჯარით აღება და გაცემა, საქ. ს.მ.უ.ს. ნებართვით, დამხმარე წამოწყებათა მოწყობილობის ექვს წელზე მეტის ვადით და აგრეთვე საწარმოო წამოწყებათა ვადის მიუხედავად.

ლ) ტრესტის კუთვნილი ქონების დაზღვევა.

მ) გაცემა და მიღება გასანაღდებლად თამასუქების და სხვა ვალდებულებათა, დახურდავება თამასუქების; საკრედიტო ოპერაციების წარმოება სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო დაწესებულებებსა და კერძო პირებთან.

ნ) ს.ს.რ. კავშირის ს.მ.უ.ს. წარდგენით, შრომისა და თავდაცვის საბჭოს საგანგებო ნებართვით, საზღვარგარეთ გრძელვადიანი საკრედიტო სესხის ოპერაციის ჩატარება და აგრეთვე გრძელვადიანი საობლიგაციო სესხის გამოშვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. საობლიგაციო სესხის საკითხის გადაჭრის დროს ს.ს.რ. საკავშირო სახკომსაბჭოს საგანგებო გადაწყვეტილებით შეიძლება დადგენილ იქნას ხაზინის გარანტია როგორც პროცენტების გადახდის, ისე თვით სესხის დაფარვის შესახებ.

ო) „ლითონტრესტის" მიზნების განსახორციელებლად საჭირო ყოველგვარი გარიგების, აქტის და ხელშეკრულების, მათ რიცხვში ყიდვა-მიწოდების ხელშეკრულების დადება; გაცემა რწმუნებულობათა.

პ) საქ. ს.შ.უ.ს. ნებართვით სავაჭრო სამრეწველო გაერთიანებათა და აგრეთვე სინდიკატთა კონვენციებისა და საზოგადოებებში მონაწილეობა, რომლებიც მოგების მიღებას არ მისდევენ, თუ მათი ამოცანები შეეფერება ამ წესდების § 1 აღნიშნულ მიზნებს.

რ) უფლება იჩიოს და პასუხი აგოს სასამართლოში და აგრეთვე წარმომადგენლობა როგორც მმართველის, ისე მისი მოადგილის პირადად, ან და სპეციალური რწმუნებულებით უფლება მოსილ რწმუნებულის საშუალებით, ყველა ადმინისტრატიულ დაწესებულებაში.

18. ტრესტიდან გასულ ქაღალდებზე ხელის მოწერის წესის დადგენა ევალება მმართველს. ყოველგვარი ხელშეკრულება, ვალდებულება, თამასუქი, ჩეკი და რწმუნებულება ხელმოწერილ უნდა იყოს მმართველის ან მისი მოადგილის, ან სათანადო რწმუნებულობით აღჭურვილი ტრესტის რომელიმე პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ.

ფულადი ხასიათის საბუთები დადასტურებულ უნდა იქნას „ლითონტრესტის" მთავარი ბუჰღალტერის მიერ—წლიურ ანგარიშებს და ბალანსებზე ხელს აწერენ: მმართველი, ან მისი მოადგილე და „ლითონტრესტი"-ს მთავარი ბუჰღალტერი.

19. მმართველი და მისი მოადგილე ვალდებულნი არიან მიიღონ ყოველგვარი ზომა ამ წესდებაში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, გამოიჩინონ საჭირო მზრუნველობა და წინდახედულობა და მომქმედი კანონების თანახმად პასუხს აგებენ, როგორც დისციპლინარული, ისე სისხლის და სამოქალაქო სამართლის წესით, მინდობილი ქონების როგორც მთლიანობისა, ისე სამეურნეო წესით საქმისწარმოებისათვის.

IV. „ლითონტრესტ"-ში შემავალი საწარმოო წამოწყებათა მმართველობა.

20. „ლითონტრესტ"-ში შემავალი (§ 2), ცალკე საწარმოო წამოწყებათა უშუალო მმართველებათ ითვლებიან დირექტორები, რომლებსაც ნიშნავს და ითხოვს სამსახურიდან „ლითონტრესტის" მმართველი; გამგეები მოქმედობენ ერთპიროვნულად „ლითონტრესტის" მმართველის მიერ დამტკიცებული დებულების და რწმუნებულობის თანახმად, რომელ რწმუნებულობასაც გასცემს „ლითონტრესტის" მმართველი.

V. „ლითონტრესტის" სპეციალური კაპიტალი და მოგება.

21. საწესდებო კაპიტალის (§ 13) გარდა სდგება აგრეთვე:

ა) საამორტიზაციო კაპიტალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სათადარიგო კაპიტალი.

გ) კაპიტალი წარმოების გასაფართოებლად და

დ) მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი.

სხვა სპეციალური კაპიტალის შედგენა მხოლოდ საქართველოს ეკონომიური საბჭოს ნებართვით შეიძლება.

22. „ლითონტრესტის“ ქონების ამორტიზაცია, სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წ. 29 ივნისის დებულების 44 და 45 მ.მ. აღნიშნული წესების დაცვით სწარმოებს.

23. მოგების და ზარალის რაოდენობის განსაზღვრა, მოგების განაწილება და სპეციალურ კაპიტალებსა და ხაზინის შემოსავალში მოგებიდან ანარიცხების გადადება, ზარალის დაფარვა და აგრეთვე სპეციალური კაპიტალების ხარჯვა უნდა სწარმოებდეს იმავე დებულების 46—49 მ.მ. გათვალისწინებულ წესების თანახმად.

VI. „ლითონტრესტის“ ანგარიშგება, მისი საქმიანობის რევიზია.

24. ყოველწლიურად, არა უგვიანეს 3 თვისა საოპერაციო წლის დასრულებიდან, რაც იანგარიშება ბიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებული მომავალი წლის 1 ოქტომბრამდე, „ლითონტრესტის“ მმართველი უდგენს საქ. ს. მ. უ. ს.განსახილველად და დასამტკიცებლად, შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული წესების თანახმად, შედგენილ ანგარიშს, ბალანსს და მოგება-ზარალის ანგარიშს, აგრეთვე პროექტს ზარალის დაფარვის და მოგების განაწილების შესახებ, სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წ. 29 ივნისის დებულების თანახმად. ანგარიშების და ბალანსების ვადის გადადება შესაძლოა საჯაროდ ანგარიშების წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით.

25. „ლითონტრესტის“ დამტკიცებული ბალანსები და მოგება-ზარალის ანგარიშები მმართველის მიერ ქვეყნდება საჯაროდ ანგარიშების წარდგენის შესახებ არსებულ წესებში გათვალისწინებულ დებულებათა მიხედვით.

26. „ლითონტრესტის“ მოღვაწეობის რევიზიას აწარმოებს საქ. ს. მ. უ. ს.; მმართველი ვალდებულია დაუყონებლივ წარუდგინოს განსახილველად საქ. ს. მ. უ. ს. სათანადო ორგანოს ყველა დავთარი და საბუთი, საქმე და მიმოწერა; ამასთან ვალდებულია აღმოუჩინოს მათ რევიზიისა და „ლითონ ტრესტის“ მოღვაწეობის გამოკვლევის დროს, ყოველგვარი დახმარება.

27. იმ შემთხვევების გამოკლებით, რაც მოიქმედ კანონებში გადაჭრითაა აღნიშნული, საქ. ს. მ. უ. ს. საბჭოს გარდა, ხელისუფლების სხვა ორგანოთ თავის კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვთ მისცენ „ლითონტრესტის“ მმართველს რჩევა-დარიგება, მიუთითონ რაიმე მოვლენაზე და მოსთხოვონ ანგარიშების და ცნობათა წარდგენა მხოლოდ საქ. ს. მ. უ. ს. მეშვეობით.

VII. „ლითონტრესტის“ წესდების შეცვლა.

28. საწესდებო კაპიტალის გადიდება ან შემცირება, ან ამ წესდებაში სხვა ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს სახელმწ. სამრ. ტრესტების შესახებ 1927 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 ივნისს დამტკიცებული დებულების 11 და 14 ნ. მ. მოთხოვნილებათა დაცვით.

VIII. „ლითონტრესტის“ საქმიანობის შეწყვეტა.

29. „ლითონტრესტის“ საქმიანობა სწყდება მისი ლიკვიდაციის, გაერთიანების, შეერთების ან დანაწილების საშუალებით, მხოლოდ დაცულ უნდა იქნეს სახელმწ. სამრ. ტრესტების შესახებ 1927 წ. 29 ივნისს დამტკიცებული დებულების 55—64 მ. მ. გათვალისწინებული წესები.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვ. № 270. მთავლ. 1839. ტირაჟი—250.